OCSC20514294 28/07/2020

თანხმობა უძრავი ნივთის მონაცემებში ცვლილების /დამატების რეგისტრაციაზე

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი თანახმაა, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე - ს/კ 01.11.10.008.037 განხორციელდეს სამშენებლო/სარეკონსტრუქციო, კორექტირების სამუშაოები, რომლის შედეგადაც შეიცვლება შენობა–ნაგებობის კონფიგურაცია.
კორექტირების სამუშაოების შედეგად შემცირდეს საერთო ფართი 2,3 კვ.მ-ით.

პატივისცემით

სს საქართველოს ბანკის

საცალო ბიზნეს საბანკო მომსახურების ჯგუფის უფროსი

დავით გულიშვილი

№ 13/8564

"19" ივლისი 2019

რწმუნებულება

სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე **მიხეილ გომართელი** (პირადი ნომერი 01007008711) (შემდგომში - მარწმუნებელი), ანიჭებს უფლებამოსილებას **დავით გულიშვილს** (პირადი ნომერი: 35001019500) და **დათო ესიავას** (პირადი ნომერი: 02001004519) (შემდგომში - რწმუნებულები) რათა მათ მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკი) სახელით ცალკ-ცალკე განახორციელონ შემდეგი უფლებამოსილებები:

1. ხელი მოაწეროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ან/და სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში წარსადგენ თანხმობის წერილებს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების წერილებისა (მათ შორის იპოთეკის/გირავნობის მოხსნა და სხვა).
2. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელი მოწეროს ყველა აუცილებელ დოკუმენტს/განცხადებას.
3. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება ძალაშია 2020 წლის 1 აგვისტომდე.

მიხეილ გომართელი _____

სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე